სადოქტორო პროგრამა: კულტურის მეცნიერებები,/Cultural Studies

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი: ნინო ჩიქოვანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: კულტურის მეცნიერებები/კულტურის კვლევები (Cultural Studies) ახალი და სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. მისი მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე იმ სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა ფუნქციობს.

წარმოდგენილი ინდივიდუალური პროგრამა **მიზნად ისახავს** კულტურის ფენომენის კვლევის საკვანძო მომენტების გამოკვეთასა და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას.

სწავლის შედეგი: დოქტორს ისტორიაში კულტურის მეცნიერებების მიმართულებით უნდა შეეძლოს: კვლევის შედეგად ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა; დაგროვილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება; კულტურის მეცნიერებათა ისტორიისა და ძირითადი მიმართულებების გაგება; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნირებათა სივრცეში კულტურის მეცნიერებათა ადგილის განსაზღვრა; თანამშრომლობა სხვა დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების პროცესში; ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით გადმოცემა; ესმოდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები. სადოქტორო პროგრამით მომზადებულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

დასაქმების სფეროები: დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას კულტურის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების კულტურული საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, კულტურათა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებას პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და მრავალკულტურულ საზოგადოებაში.

მიღების წინაპირობები:

სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ: წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული (და პრაქტიკულად დასრულებული) საკანდიდატო თემა. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული ან რუსული) B2 დონეზე ცოდნა.

დოქტორანტების რაოდენობა

ადამინაური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 3-4 დოქტორანტის მიღება.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სტუდენტთა განკარგულებაშია დარგობრივი ბიბლიოთეკა (რომელიც, რა თქმა უნდა, მოითხოვს მუდმივ შევსებასა და განახლებას), სამკითხველო, კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ეკუთვნის ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრას.

პროგრამაში ჩართული პროფესორები კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტიდან

ნინო ჩიქოვანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)

გურამ ლორთქიფანიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი

ქეთევან კაკიტელაშვილი – Ph.D ისტორიაში (კულტურის მეცნიერებები), კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი